№833 2015 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

ქ. თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 2015 წლის 11 აგვისტოს უეფას ეგიდით გასამართ „უეფას სუპერ თასის“ მატჩისთვის მოსამზადებელი სამუშაოების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გამოუყოს 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**